ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

კურიკულუმი

| | |
|---|---|
| ფაკულტეტის დასახელება | **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი** |
| პროგრამის დასახელება | **ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი)** |
| მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია | 1. **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში - MBA in Management**<br>2. **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში - MBA in Banking**<br>3. **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში - MBA in Tourism** |
| პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა) | 4 სემესტრი, 120 კრედიტი |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი | პროგრამის შემუშავების თარიღი: **01.02.2018**<br><br>პროგრამა განახლდა **2021 წელს.** პროგრამა შესაძლოა განახლდეს ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)**

სამაგისტრო პროგრამაზე: "ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი)" მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისა და შერჩევის საფუძველზე.

პროგრამაზე დაიშვებიან აპლიკანტები, რომელთაც მოპოვებული აქვთ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში (სასურველია, თუმცა არა სავალდებულო - ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებით) და ფლობენ ინგლისურ ენას (კითხვის უნარს) მინიმუმ B2 დონეზე, კერძოდ:

- ოფიციალური საერთაშორისო აღიარების მქონე ენის სერტიფიკატი, რომელიც აჩვენებს Common European Framework of Reference (CEFR)-ის მიხედვით B2 ან უფრო მაღალ დონეს):
- კემბრიჯის გამოცდები: Cambridge English Scale – 160; IELTS – Bands 5.5, FCE, BEC Vantage, ILEC - Pass with B2; Aptis Test -140
- TOEFL iBT 72
- Global Scale of English: 59 ან Pearson tests: PTE – 51
- EF SET – 51 ან

- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - **Certus**, ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, სადაც მითითებული იქნება, რომ სწავლების ენა იყო ინგლისური.

## პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე ბიზნეს-გარემოზე, მის ცვალებად და მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიონალი, რომელიც მენეჯმენტის, საბანკო და საფინანსო საქმის ან ტურიზმის მენეჯმენტის სფეროში ღრმა და სისტემური თეორიული, ემპირიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე:

- იმოქმედებს, როგორც სანდო და დამოუკიდებელი ექსპერტი კომპანიის/ორგანიზაციის სტრატეგიის ჩამოყალიბის, მისი შეფასებისა და განვითარების პროცესში;
- კვლევისა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტების გამოყენებით, დამოუკიდებლად მოახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ ეფექტურად გადაჭრას;
- პროფესიულ და აკადემიურ სფეროში შეძლებს მონაცემებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების და შედეგების დასაბუთებას/დაცვას.

## სწავლის შედეგები და კომპეტენციები ( ზოგადი და დარგობრივი)

### ***ზოგადი კომპეტენციები:***

***დასკვნის გაკეთების უნარი***

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მენეჯმენტის, საბანკო და საფინანსო საქმის ან ტურიზმის სფეროში პრობლემის და მისი კონტექსტის კომპლექსური ანალიზი და ინტერპრეტაცია;;
- მონაცემებზე დაყრდნობით, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და მათ საფუძველზე პრობლემის გადაჭრის ალტერნატივების ჩამოყალიბება და მათი შეფასება; ეფექტური რეკომენდაციების და ინტერვენციების განსაზღვრა პრობლემის გადაჭრის მიზნით.

***კომუნიკაციის უნარი***

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების/პრობლემების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნების, არგუმენტაციისა და შესაბამისი მეთოდების წერილობით და ზეპირი კომუნიკაცია პროფესიულ და ფართო საზოგადოების წინაშე;
- კომუნიკაციის სხვადასხვა არხის გამოყენება სპეციალისტებთან დისკუსიაში ჩართვის მიზნით;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივი გამოყენება.

***სწავლის უნარი***

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული განვითარების მიზნით უახლესი ლიტერატურის და დარგში არსებული მიღწევების გაცნობა და გამოყენება;
- საკუთარი სწავლის პროცესის საჭიროებების განსაზღვრა და დამოუკიდებლად წარმართვა.

***ღირებულებები***

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეაფასოს ბიზნესის ადმინისტრირების დარგის ღირებულებები;
- კონკურენტულ გარემოში იმოქმედოს ბიზნესის წარმოების სამართლიანი ხერხებით; დაიცვას ბიზნესში ქცევის ეთიკური ნორმები და მორალური პრინციპები;
- დაიცვას აკადემიური ეთიკის ნორმები და თავიდან აირიდოს განზრახული ან უნებლიე პლაგიატი.

## *დარგობრივი კომპეტენციები:*

### *მიმართულება: მენეჯმენტი*

***ცოდნა და გაცნობიერება***

კურსდამთავრებულმა იცის:

- თანამედროვე მენეჯმენტის განმაპირობებელი ფაქტორები (საზოგადოებრივი პროცესები, ბიზნეს- გარემო, ორგანიზაციული გარემო), მართვის პროცესის სტრუქტურა, ორგანიზაციული ქცევის გამოწვევები და შესაძლებლობები;
- ბიზნეს ორგანიზაციის განვითარების ეტაპები და ცვალებად კონკურენტულ გარემოში კომპანიის წარმატებისათვის საჭირო სტრატეგიული მართვის მექანიზმები;
- სამომხმარებლო ბაზრების ანალიზისა და შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის შემუშავების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები;
- მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ეკონომიკური თეორიები, მოდელები და საბაზრო სტრუქტურის ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტები;
- კომპანიის ფინანსური ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო მეთოდები და ინსტრუმენტები; ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, ელემენტები და მათი მომზადების მეთოდები;
- სტატისტიკური მონაცემების, მათ შორის ეკონომიკური და ბიზნეს მონაცემების დამუშავების და რაოდენობრივი კვლევების ჩატარების მეთოდები და ინსტრუმენტები;
- მენეჯმენტის სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებისთვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და მიდგომები; კვლევითი პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები;
- კომპანიაში მიმდინარე ოპერაციათა დაგეგმვის, მართვის და კონტროლის პროცედურები და ინსტრუმენტები;
- ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმალური სტრუქტურის შექმნისათვის საჭირო პროცესები და ინსტრუმენტები;
- ინდივიდუალური ქცევის საფუძვლები, პიროვნული თვისებებისა და ფასეულობების, აგრეთვე, გუნდურობის მნიშვნელობა.

***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი***

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ცვალებად ბიზნეს სიტუაციებში კომპანიის ორგანიზაციის გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვა;
- ადამიანური რესურსების როლის შეფასება შრომის პროდუქტიულობის ამაღლებისა და საწარმოს კონკურენტუნარიანობის განმტკიცებაში;
- ფინანსური ანგარიშების წარმოება; ფინანსური და საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფინანსური უწყისების ანალიზი;

- შესაბამისი ტექნოლოგიის/მეთოდის გამოყენებით მარკეტინგული კვლევის ჩატარება და კომპანიისთვის მარკეტინგული სტრატეგიის განსაზღვრა;
- თანამედროვე ბიზნეს–სტრატეგიების აგება; ბიზნეს-გეგმების შედგენა და განხორციელებისათვის საჭირო პროცედურებისა და საჭიროებების განსაზღვრა;
- ორგანიზაციის ოპერაციული მართვის, ორგანიზაციის რესურსების ოპტიმიზაციისა და დროში ეფექტური განაწილების სტრატეგიული გეგმის შემუშავება; საწარმოო პროცესის და საწარმოო სიმძლავრეების დაგეგმვა;
- მენეჯმენტის სფეროში პრობლემის ინდენტიფიცირება და შესაბამისი პრაქტიკული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება; კვლევის შედეგების საფუძველზე მენეჯმენტის სფეროში პრობლემის გადაწყვეტისთვის ეფექტური ალტერნატივების და/ან რეკომენდაციების განსაზღვრა;
- თანამედროვე ეკონომიკური თეორიებისა და მოდელების გამოყენებით ბაზრის ფუნქციონირების ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისთვს ეფექტური რეკომენდაციების განსაზღვრა;
- სტატისტიკური მონაცემების, მათ შორის ეკონომიკური და ბიზნეს მონაცემების დამუშავება, რაოდენობრივი კვლევების ჩატარება და შედეგების ანალიზი და ინტერპრეტირება;
- ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის თავისებურებების გათვალისწინებით ორგანიზაციული პროცესების მართვის სტრატეგიის დაგეგმვა.

***<u>მიმართულება:</u> <u>საბანკო და საფინანსო საქმე</u>***

***<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>***

კურსდამთავრებულმა იცის:

- თანამედროვე მენეჯმენტის განმაპირობებელი ფაქტორები (საზოგადოებრივი პროცესები, ბიზნეს- გარემო, ორგანიზაციული გარემო), მართვის პროცესის სტრუქტურა;
- ბიზნეს ორგანიზაციის განვითარების ეტაპები და ცვალებად კონკურენტულ გარემოში კომპანიის წარმატებისათვის საჭირო სტრატეგიული მართვის მექანიზმები;
- სამომხმარებლო ბაზრების ანალიზისა და შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის შემუშავების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები;
- ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, ელემენტები და მათი მომზადების მეთოდები; კომპანიის ფინანსური ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო მეთოდები და ინსტრუმენტები;
- სტატისტიკური მონაცემების, მათ შორის ეკონომიკური და ბიზნეს მონაცემების დამუშავების და რაოდენობრივი კვლევების ჩატარების მეთოდები და ინსტრუმენტები;
- საბანკო და საფინანსო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებისთვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და მიდგომები; კვლევითი პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები;
- ფასიანი ქაღალდების და ლიზინგური ოპერაციები; პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების შეფასების მექანიზმები.
- ფინანსური, საბაზრო და საკრედიტო რისკების მართვის სტრატეგიები და ბანკების რეგულაციების მახასიათებლები და მეთოდები;
- ბანკების საკასო, სადეპოზიტო და სავალუტო ოპერაციების სტრუქტურა; ანგარიშსწორების ფორმები და სისტემები; საბანკო მომსახურების ფორმები და სისტემები;

- დაფინანსების ალტერნატიული წყაროები, ფინანსური დერივატივები, ფინანსური ინსტრუმენტები;

***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი***

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საინვესტიციო და საფინანსო ინსტრუმენტების (აქციები, ობლიგაციები, ფიუჩერსები, ოფციონები და ა.შ) მართვის სტრატეგიის შეფასება;
- კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით საბანკო სექტორში და ფულად–საკრედიტო პოლიტიკაში მიმდინარე პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების მონახვა;
- ცვალებად ბიზნეს სიტუაციებში ორგანიზაციის გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვა;
- ფინანსური ანგარიშების წარმოება; ფინანსური და საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფინანსური უწყისების ანალიზი;
- შესაბამისი ტექნოლოგიის/მეთოდის გამოყენებით მარკეტინგული კვლევის ჩატარება და კომპანიისთვის მარკეტინგული სტრატეგიის განსაზღვრა;
- თანამედროვე ბიზნეს–სტრატეგიების აგება; ბიზნეს-გეგმების შედგენა და განხორციელებისათვის საჭირო პროცედურებისა საჭიროებების განსაზღვრა;
- საბანკო და საფინანსო სფეროში პრობლემის ინდენტიფიცირება და შესაბამისი პრაქტიკული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება; კვლევის შედეგების საფუძველზე საბანკო და საფინანსო სფეროში პრობლემის გადაწყვეტისთვის ეფექტური ალტერნატივების და/ან რეკომენდაციების განსაზღვრა;
- ბანკის ბალანსის და სხვა საფინანსო ანგარიშგების ფორმების ანალიზი;
- პირველადი ფინანსური ანალიზი, ფინანსური ანგარიშგების ფორმების მომზადება და ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასება; კომპანიის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზი;
- კომერციული ბანკის სარესურსო პოტენციალის შეფასება;
- მსესხებელის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა და საბანკო კრედიტის შეფასება;
- ბანკებში ეკონომიკური და ფინანსური რისკის გაანგარიშება;
- რისკებზე ზემოქმედების მექანიზმების შემუშავება;
- კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის დადგენა;
- ბანკების საკრედიტო პორტფელის გაანალიზება, რისკებისა და შემოსავლისუნარიონობის განსაზღვრა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დასახვა;

***მიმართულება: ტურიზმი***

***ცოდნა და გაცნობიერება***

კურსდამთავრებულმა იცის:

- თანამედროვე მენეჯმენტის განმაპირობებელი ფაქტორები (საზოგადოებრივი პროცესები, ბიზნეს- გარემო, ორგანიზაციული გარემო), მართვის პროცესის სტრუქტურა;
- ბიზნეს ორგანიზაციის განვითარების ეტაპები და ცვალებად კონკურენტულ გარემოში კომპანიის წარმატებისათვის საჭირო სტრატეგიული მართვის მექანიზმები;
- სამომხმარებლო ბაზრების ანალიზისა და შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის შემუშავების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები;

- მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ეკონომიკური თეორიები, მოდელები და საბაზრო სტრუქტურის ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტები;
- კომპანიის ფინანსური ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო მეთოდები და ინსტრუმენტები; ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, ელემენტები და მათი მომზადების მეთოდები;
- სტატისტიკური მონაცემების, მათ შორის ეკონომიკური და ბიზნეს მონაცემების დამუშავების და რაოდენობრივი კვლევების ჩატარების მეთოდები და ინსტრუმენტები;
- ტურიზმის მენეჯმენტის სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებისთვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და მიდგომები; კვლევითი პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები;
- ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმალური სტრუქტურის შექმნისათვის საჭირო პროცესები და ინსტრუმენტები;
- მდგრადი ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები;
- ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესი;
- დესტინაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სტრატეგიული მიმართულებები, მოდელები და მათი დაგეგმვის ეტაპები;
- ციფრული ტექნოლოგიებისა და პლატფორმის დანიშნულება და ინსტრუმენტები ტურიზმში;

***<u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</u>***

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ცვალებად ბიზნეს სიტუაციებში კომპანიის ორგანიზაციის გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვა;
- ადამიანური რესურსების როლის შეფასება შრომის პროდუქტიულობის ამაღლებისა და საწარმოს კონკურენტუნარიანობის განმტკიცებაში;
- ფინანსური ანგარიშების წარმოება; ფინანსური და საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფინანსური უწყისების ანალიზი;
- შესაბამისი ტექნოლოგიის/მეთოდის გამოყენებით მარკეტინგული კვლევის ჩატარება და კომპანიისთვის მარკეტინგული სტრატეგიის განსაზღვრა;
- თანამედროვე ბიზნეს–სტრატეგიების აგება; ბიზნეს-გეგმების შედგენა და განხორციელებისათვის საჭირო პროცედურებისა და საჭიროებების განსაზღვრა;
- ტურიზმის მენეჯმენტის სფეროში პრობლემის ინდენტიფიცირება და შესაბამისი პრაქტიკული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება; კვლევის შედეგების საფუძველზე პრობლემის გადაწყვეტისთვის ეფექტური ალტერნატივების და/ან რეკომენდაციების განსაზღვრა;
- სტატისტიკური მონაცემების, მათ შორის ეკონომიკური და ბიზნეს მონაცემების დამუშავება, რაოდენობრივი კვლევების ჩატარება და შედეგების ანალიზი და ინტერპრეტირება;
- მდგრადი ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიცირება და ანალიზი/შეფასება;
- ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის სტრატეგიული ანალიზი და კრიტიკული შეფასება;
- დესტინაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიცირება და დაგეგმვა;
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ტურისტული ბიზნესის ეფექტური ოპერირებისთვის.

**სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა**

სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი ძირითადი ბლოკისაგან:

- **ბიზნესის ადმინისტრირების ბლოკი - 30 კრედიტი**
- **სპეციალობის ბლოკი - 90 კრედიტი**

სწავლების პირველი სემესტრი ეთმობა ბიზნესის ადმინისტრირების ბლოკის კურსების შესწავლას (ჯამში 30 კრედიტი), რომელიც მოიცავს:

- **სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი**
- **არჩევითი კურსი - 6 კრედიტი**

სწავლების მეორე სემესტრში სტუდენტი ირჩევს სამი სპეციალობიდან ერთ-ერთს და აკადემიური ხარისხი ენიჭება არჩეული მიმართულების მიხედვით:

- **მენეჯმენტი;**
- **საბანკო და საფინანსო საქმე;**
- **ტურიზმის მენეჯმენტი.**

თითოეული სპეციალობის ბლოკი შედგება ჯამში **90 კრედიტისგან,** საიდანაც **24 კრედიტი** განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომისათვის, ხოლო სასწავლო კურსებით სტუდენტი აგროვებს მაქსიმუმ **66 კრედიტს,** შემდეგი გადანაწილების მიხედვით:

მიმართულება - მენეჯმენტი:

- სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი
- არჩევითი კურსები - 24 კრედიტი

მიმართულება - საბანკო და საფინანსო საქმე:

- სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი
- სავალდებულო არჩევითი კურსები -18
- არჩევითი კურსები - 6 კრედიტი

მიმართულება - ტურიზმის მენეჯმენტი:

- სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი
- არჩევითი კურსები - 12 კრედიტი

სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რომელიც პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ბიზნეს ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ პრობლემას ერთ-ერთი მიმართულებით (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე ან ტურიზმი) და ახორციელებს პროექტს, რომელიც ორიენტირებულია პრობლემისა და მისი კონტექსტის შესწავლაზე უახლესი მეთოდების გამოყენებით და მისი ეფექტური გადაჭრისთვის შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებასა და ინტერვენციების განსაზღვრაზე.

**სწავლების მეთოდები**

- ინტერაქტიული ლექციები და სემინარები;
- ვერბალური და წერითი მეთოდი;
- მასტერკლასები;
- შემთხვევის ანალიზი;
- პროექტები;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- გონებრივი იერიში (Brain storming), რეფლექსია;
- როლური და სიტუაციური თამაშები/სიმულაციები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრეზენტაცია.

*სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას, შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდებიც, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.*

## შეფასების წესი

**სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:**

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F)0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

*შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.*

## დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ კერძო და საჯარო სექტორში მართვის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროში წამყვან და საშუალო რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე.

პროგრამის კურსდამთავრებულმა სწავლა შეიძლება გააგრძელოს სადოქტორო საფეხურზე.

## სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

უნვერსიტეტის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული რესურს-ცენტრი, ბიზნეს სკოლის სიმულაციური ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრი, ბიზნესის სკოლის ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ბაზაზე არსებული პრეაქსელერატორი **Zoom-out** და სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორია **Fab Lab.**

**ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში:**
ალდაგი, კავკასიის გენეტიკა, შატო მუხრანი, სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“, ირაო, სასტუმრო „ციტრუსი“, კოკა-კოლა, ქოლოორ ტურ ჯორჯია, ძველი მეიდანი, კულტურის პალატა, ლიბერთი ბანკი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ნიუ ჰოსპიტალსი, საქართველოს რკინიგზა, ტრანს კავკასუს ტერმინალსი, ვანილა სქაი, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, ქართული ხალხური სიმღერის და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახ მუზეუმი, თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ სამხატვრო აკადემიის მუზეუმი, დ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი, მედია პარტნერსი (ფორბს ჯორჯია), რადიო "კომერსანტი", ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარა გრუპ ჰოსპიტალიტი, არგო, ვივა-ჟალუზი, ჯი აი მედია გრუპ, ჯი არ ემ სოლუშენს.

## ბიზნესის ადმინისტრირების ბლოკის სავალდებულო კურსების ჩამონათვალი

| # | კურსები | სტატუსი | ლექტორი | წინაპირობა | კრედიტები | საკონტაქტო საათები | სემესტრები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | შემ. | გაზ. |
| | სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი | | | | | | | |
| 1 | **სტრატეგიული მენეჯმენტი** | სავ. | რესან ქიქავა, ნათია სოხაძე, გიორგი აბაშიძე, თამარ ყაჭაშვილი | | 6 | 32 | X | |
| 2 | **მარკეტინგის მენეჯმენტი** | სავ. | ნატალია შელეგია, თამარ მაღალაშვილი, თიკა რიჟამაძე | | 6 | 32 | X | |
| 3 | **ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება** | სავ. | ნიკოლოზ ქოიავა, გიორგი მიხელიძე, გივი დოლიძე, თამარ ვახტანგიშვილი | | 6 | 47 | X | |
| 4 | **რაოდენობრივი მეთოდები I** | სავ. | ირაკლი კაჭარავა, ალექსანდრე ერგეშიძე, ლევან ლაგვილავა, ლაშა არევაძე, ავთანდილ მაისურაძე | | 6 | 47 | X | |
| | არჩევითი კურსები - 6 კრედიტი | | | | | | | |
| 1 | **ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები** | არჩ. | ნიკოლოზ ყაველაშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, მაია მელიქიძე | | 6 | 32 | X | |
| 2 | **სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორები** | არჩ. | გიორგი ქადაგიძე | | 6 | 32 | X | |
| 3 | **ლიდერობა** | არჩ. | რესან ქიქავა,  ანა თანდილაშვილი | | 6 | 32 | X | |
| 4 | **ბიზნეს მოდელირება და გადაწყვეტილების მიღება** | არჩ. | გიორგი ხიშტოვანი, დავით გამყრელიძე | | 6 | 32 | X | |
| 5 | **კონფლიქტების მართვა** | არჩ. | სოფიო ლებანიძე | | 6 | 32 | X | |

| მენეჯმენტის მიმართულება | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | კურსები | სტატუსი | ლექტორი | წინაპირობა | კრედიტები | საკონტაქტო საათები | სემესტრები | |
| | | | | | | | შემ. | გაზ. |
| | **სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი** | | | | | | | |
| **1** | **მენეჯერული ეკონომიკა** | სავ. | გიორგი პაპავა | რაოდენობრივი მეთოდები I | 6 | 32 | | X |
| **2** | **ფინანსური მენეჯმენტი I** | სავ. | გიორგი დანელია, გიორგი ხიშტოვანი, ნიკოლოზ ქოიავა, დავით გამყრელიძე, დავით ხაჩიძე | რაოდენობრივი მეთოდები I | 6 | 47 | | X |
| **3** | **ორგანიზაციული ქცევა** | სავ. | პაატა ბრეკაშვილი, ბერიკა შუკაკიძე, მარიკა მჭედლიძე | | 6 | 32 | | X |
| **4** | **კვლევის მეთოდები** | სავ. | ნინო პატარაია, მარიამ დალაქიშვილი, ქრისტინე ლორთქიფანიძე, ლოლიტა შენგელია, ნატო ხალაძე | | 6 | 48 | X | |
| **5** | **ოპერაციული მენეჯმენტი** | სავ. | სოფიო ლებანიძე, ქეთევან ნადირაშვილი | | 6 | 32 | X | |
| **6** | **ადამიანური რესურსების მენეჯმენტი** | სავ. | თამარ ჯინჭველაძე | | 6 | 32 | X | |
| **7** | **აკადემიური წერა** | სავ. | მაია როგავა | I, II სემესტრი | 6 | 34 | X | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8** | **სამაგისტრო ნაშრომი** | სავ. | | ყველა სავალდებულო საგანი | 24 | 30 | | |
| **არჩევითი კურსები - 24 კრედიტი** | | | | | | | | |
| **1** | **ეკონომიკური პოლიტიკა** | არჩ. | ნიკა მეგუთნიშვილი,<br>რუსუდან გურაშვილი | | 6 | 32 | | X |
| **2** | **ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები** | არჩ. | თორნიკე გურული,<br>თამარ ჩილაჩავა | მარკეტინგის მენეჯმენტი | 6 | 32 | | X |
| **3** | **ინოვაციური მეწარმეობა** | არჩ. | დავით ჩეჩელაშვილი | მარკეტინგის მენეჯმენტი | 6 | 32 | X | |
| **4** | **ბიზნეს მოლაპარაკებები** | არჩ. | გივი ჭანუყვაძე | | 6 | 32 | | X |
| **5** | **რაოდენობრივი მეთოდები II** | არჩ. | ირაკლი კაჭარავა, ალექსანდრე ერგეშიძე, ლევან ლაგვილავა | რაოდენობრივი მეთოდები I | 6 | 47 | | X |
| **6** | **გაყიდვების მენეჯმენტი** | არჩ. | თამარ მაღალაშვილი | | 6 | 32 | X | |
| **7** | **ფინანსური მენეჯმენტი II** | არჩ. | გიორგი დანელია, გიორგი ხიშტოვანი, ნიკოლოზ ქოიავა | ფინანსური მენეჯმენტი I | 6 | 47 | X | |
| **8** | **სოციალური მედია-მარკეტინგი** | არჩ. | ნატალია შელეგია, ალექსანდრე ასათიანი, ლია მოშიაშვილი | მარკეტინგის მენეჯმენტი | 6 | 32 | | X |
| **9** | **კომპანიის შეფასება** | არჩ. | გიორგი ხიშტოვანი, დავით ხაჩიძე | ფინანსური მენეჯმენტი I<br>ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | 6 | 32 | X | |
| **10** | **რისკების მენეჯმენტი** | არჩ. | ვახტანგ ბერიშვილი | ფინანსური მენეჯმენტი I | 6 | 32 | X | |
| **11** | **ფინანსური ანალიზი** | არჩ. | ნიკოლოზ ქოიავა | ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | 6 | 32 | | X |
| **12** | **ბანკინგი** | არჩ. | ნიკოლოზ ყაველაშვილი | | 6 | 32 | | X |
| **13** | **სტრატეგიული მარკეტინგული სიმულაცია** | არჩ. | სოფიო ბრიტანჩუკი, ერნა პოღოსოვი | ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება<br>მარკეტინგის მენეჯმენტი | 6 | 32 | | X |
| **14** | **მონიტორინგი და შეფასება** | არჩ. | სოფიო მალაშხია | | 6 | 33 | X | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | **მმართველობითი აღრიცხვა** | სავ. | ნიკოლოზ ქოიავა | ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | 6 | 47 | | X |

| საბანკო და საფინანსო საქმის მიმართულება | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | კურსები | სტატუსი | ლექტორი | წინაპირობა | კრედიტები | საკონტაქტო საათები | სემესტრები | |
| | | | | | | | შემ. | გაზ. |
| **სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი** | | | | | | | | |
| 1 | **ფინანსური მენეჯმენტი I** | სავ. | გიორგი დანელია, გიორგი ხიშტოვანი, ნიკოლოზ ქოიავა, დავით გამყრელიძე, დავით ხაჩიძე | რაოდენობრივი მეთოდები I | 6 | 47 | | X |
| 2 | **რაოდენობრივი მეთოდები II** | სავ. | ირაკლი კაჭარავა, ალექსანდრე ერგეშიძე, ლევან ლაგვილავა | რაოდენობრივი მეთოდები I | 6 | 47 | | X |
| 3 | **ფინანსური ანალიზი** | სავ. | ნიკოლოზ ქოიავა | ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | 6 | 32 | | X |
| 4 | **ბანკინგი** | სავ. | ნიკოლოზ ყაველაშვილი | | 6 | 32 | | X |
| 5 | **მმართველობითი აღრიცხვა** | სავ. | ნიკოლოზ ქოიავა | ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | 6 | 47 | | X |
| 6 | **კვლევის მეთოდები** | სავ. | ნინო პატარაია, მარიამ დალაქიშვილი, ქრისტინე ლორთქიფანიძე, ლოლიტა შენგელია, ნატო ხალაძე | | 6 | 48 | X | |
| 7 | **აკადემიური წერა** | სავ. | მაია როგავა | I, II სემესტრი | 6 | 34 | X | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | **სამაგისტრო ნაშრომი** | სავ. | | | 24 | 30 | | X |
| **სავალდებულო არჩევითი კურსები - 18 კრედიტი** | | | | | | | | |
| 1 | **ფინანსური მენეჯმენტი II** | სავ. არჩ | გიორგი დანელია, ნიკოლოზ ქოიავა, გიორგი ხიშტოვანი | ფინანსური მენეჯმენტი I | 6 | 47 | X | |
| 2 | **კომპანიის შეფასება** | სავ. არჩ | გიორგი ხიშტოვანი, დავით ხაჩიძე | ფინანსური მენეჯმენტი I ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | 6 | 32 | X | |
| 3 | **ბანკინგის პრაქტიკული კურსი** | სავ. არჩ | ნიკოლოზ ყაველაშვილი, ნანა დავითაძე, მაია ხელაძე, გიორგი ბაბუნაშვილი | ბანკინგი | 6 | 32 | X | |
| 4 | **საბანკო სისტემის და ფინანსური ბაზრების ეკონომიკა** | სავ. არჩ | ნიკოლოზ ყაველაშვილი, რუსუდან გურაშვილი, ნიკა მეგუთნიშვილი | ბანკინგი | 6 | 32 | X | |
| **არჩევითი კურსები - 6 კრედიტი** | | | | | | | | |
| 1 | **ეკონომიკური პოლიტიკა** | არჩ | ნიკა მეგუთნიშვილი რუსუდან გურაშვილი | | 6 | 32 | | X |
| 2 | **ბიზნეს მოლაპარაკებები** | არჩ. | გივი ჭანუყვაძე | | 6 | 32 | | X |
| 3 | **ინოვაციური მეწარმეობა** | არჩ. | დავით ჩეჩელაშვილი | მარკეტინგის მენეჯმენტი | 6 | 32 | X | |
| 4 | **მენეჯერული ეკონომიკა** | არჩ. | გიორგი პაპავა | რაოდენობრივი მეთოდები I | 6 | 32 | | X |
| 5 | **რისკების მენეჯმენტი** | არჩ. | ვახტანგ ბერიშვილი | ფინანსური მენეჯმენტი I | 6 | 32 | X | |
| 6 | **ორგანიზაციული ქცევა** | არჩ. | პაატა ბრეკაშვილი, ბერიკა შუკაკიძე, მარიკა მჭედლიძე | | 6 | 32 | | X |
| 7 | **პორტფოლიო მენეჯმენტი** | არჩ. | ნიკოლოზ ყაველაშვილი | ფინანსური მენეჯმენტი I | 6 | 30 | X | |
| 8 | **ოპერაციული მენეჯმენტი** | არჩ. | სოფიო ლებანიძე, ქეთევან ნადირაშვილი | | 6 | 32 | X | |
| 9 | **ადამიანური რესურსების მენეჯმენტი** | არჩ | თამარ ჯინჭველაძე | | 6 | 32 | X | |
| 10 | **სტრატეგიული მარკეტინგული სიმულაცია** | არჩ | სოფიო ბრიტანჩუკი, ერნა პოღოსოვი | ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | 6 | 32 | | X |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მარკეტინგის მენეჯმენტი | | | | |

## ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულება

| # | კურსები | სტატუსი | ლექტორი | წინაპირობა | კრედიტები | საკონტაქტო საათები | სემესტრები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | შემ. | გაზ. |
| | **სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი** | | | | | | | |
| 1 | **ფინანსური მენეჯმენტი I** | სავ. | გიორგი დანელია, გიორგი ხიშტოვანი, ნიკოლოზ ქოიავა, დავით გამყრელიძე, დავით ხაჩიძე | რაოდენობრივი მეთოდები I | 6 | 47 | | X |
| 2 | **მენეჯერული ეკონომიკა** | სავ. | გიორგი პაპავა | რაოდენობრივი მეთოდები I | 6 | 32 | | X |
| 3 | **მდგრადი ტურიზმის განვითარება** | სავ. | გიორგი ქემერტელიძე, თამარ ჭელიძე | | 6 | 32 | | X |
| 4 | **ტურიზმის პოლიტიკა და სტრატეგიული დაგეგმვა** | სავ. | გიორგი ბეგაძე | | 6 | 32 | | X |
| 5 | **კვლევის მეთოდები** | სავ. | ნინო პატარაია, მარიამ დალაქიშვილი, ქრისტინე ლორთქიფანიძე, ლოლიტა შენგელია, ნატო ხალაძე | | 6 | 48 | X | |
| 6 | **ადამიანური რესურსების მენეჯმენტი** | სავ. | თამარ ჯინჭველაძე | | 6 | 32 | X | |
| 7 | **E-ტურიზმი** | სავ. | გიორგი ბეგაძე | | 6 | 32 | X | |
| 8 | **დესტინაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი** | სავ. | ნატა ბახტაძე | | 6 | 32 | X | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **9** | **აკადემიური წერა** | სავ. | მაია როგავა | I, II სემესტრი | 6 | 34 | X | |
| **10** | **სამაგისტრო ნაშრომი** | სავ. | | | 24 | 30 | | X |
| **არჩევითი კურსები - 12 კრედიტი** | | | | | | | | |
| **1** | **ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია** | არჩ. | ნატო რობიტაშვილი | | 6 | 32 | | X |
| **2** | **ტურიზმის გეოგრაფია და საერთაშორისო ბაზრები** | არჩ. | ნიკოლოზ მანჯგალაძე | | 6 | 32 | | X |
| **3** | **ტურიზმის საერთაშორისო მარკეტინგი** | არჩ. | გიორგი ბრეგაძე | | 6 | 32 | X | |
| **4** | **ოპერაციული მენეჯმენტი** | არჩ. | სოფიო ლებანიძე, ქეთევან ნადირაშვილი | | 6 | 32 | | X |
| **5** | **ინოვაციური მეწარმეობა** | არჩ. | დავით ჩეჩელაშვილი | მარკეტინგის მენეჯმენტი | 6 | 32 | X | |
| **6** | **ბიზნეს მოლაპარაკებები** | არჩ. | გივი ჭანუყვაძე | | 6 | 32 | | X |
| **7** | **ორგანიზაციული ქცევა** | არჩ. | პაატა ბრეკაშვილი, ბერიკა შუკაკიძე, მარიკა მჭედლიძე | | 6 | 32 | | X |
| **8** | **მმართველობითი აღრიცხვა** | სავ. | ნიკოლოზ ქოიავა | ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | 6 | 47 | | X |